აქციის პერიოდი: 4.07.2018 -დან 6.07.2018-ის ჩათვლით

- აქციის შინაარსი: აქციის პერიოდში თბილისი მოლის ნებისმიერ მაღაზიაში, ყოველ დახარჯულ 10 ლარზე უნიქარდზე გროვდება 1 ქულა (შემდგომში საბონუსე ქულა).
- საბონუსე ქულის დარიცხვის სპეციფიკა:
- დღეში დაგროვებული საბონუსე ქულების მაქსიმალური მოცულობა - 50 ქულა ბარათზე;
- ბარათის მფლობელის მონაცემები უნდა იყოს რეგისტრირებული უნიქარდის სისტემაში 2018 წლის 1 აგვისტომდე;
- ფესტივალის პერიოდში დარიცხული საბონუსე ქულების გააქტიურება მოხდება უნიქარდის ნებისმიერი პარტნიორ კომპანიაში (ან არაპარტნიორ კომპანიაში ვითიბი ბანკის და უნიქარდის ერთობლივი ბარათით) 5 ქულის დაგროვებისთანავე (თუ უნიქარდის ანგარიშზე დაკავშირებულია რამოდენიმე ბარათი, რომლზეც განხორციელდა ფესტივალის საბონუსე ქულების დარიცხვა, პირობის დაკმაყოფილება შესაძლებელია ჯამურად ანგარიშზე დაგროვებული ქულების მიხედვით).

საბონუსე ქულის დარიცხვის პროცესისის აღწერილობა :

- საბონუსე ქულის დარიცხვა მოხდება თბილისი მოლში არსებულ ნებისმიერ (მათ შორის მცირე ზომის სტენდის თუ სხვა სპეციფიური ობიექტის) მაღაზიის შენაძენზე;
- ფესტივალის პერიოდში განხორციელებულ შენაძენზე მიღებული ჩეკის წარდგენა უნდა მოხდეს თბილისი მოლში განთავსებულ უნიქარდის მომსახურების ცენტრში (თბილისი მოლის ცენტრალურ ფოიეში განთავსებულ უნიდესკთან);
- საბონუსე ქულის დარიცხვა შესაძელბელია როგორც არსებულ, ისე ახლადგახსნილ ბარათზე;
- ოპერატორი ამოწმებს ჩეკის ვალიდურობას - მიმდინარე თარიღი, თბილისი მოლის მისამართი (დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-16 კილომეტრი, თბილისი მოლი);
- ერთი მომხმარებლის მიერ წარდგენილი ჩეკების რაოდენობა შეზღუდული არ არის;
- თუ ბარათი რეგისტრირებულია უნიქარდის სისტემაში, საბონუსე ქულების გააქტიურება მოხდება ანგარიშზე 5 ქულის დაგროვებისთანავე (საბონუსე ქულის გააქტიურება ხდება საბონუსე ქულის დაგროვების შემდეგ), პირობის შესრულების მაქსიმალური ვადაა–2018 წლის 31 ივლისი, 24:00 საათი. ქულის დაგროვება უნდა მოხდეს უნიქარდის პარტიორ კომპანიებში (ან არაპარტნიორ კომპანიაში ვითიბი ბანკის და უნიქარდის ერთობლივი ბარათით);
- არარეგისტრირებულ ბარათზე ქულების გააქტიურება განხორციელდება, თუ 2018 წლის 1 აგვისტომდე მოხდება ბარათზე მონაცემების რეგისტრირება და

დაფიქსირდება ანგარიშზე 5 ქულის დაგროვება უნიქარდის პარტნიორებთან (ან არაპარტნიორ კომპანიაში ვითიბი ბანკის და უნიქარდის ერთობლივი ბარათით);

- საბონუსე ქულები გააქტიურდება ორივე პირობის შესრულებისთანავე;
- ბარათი დარეგისტრირებულად ითვლება თუ შევსებულია: სახელი და გვარი, მობ. ტელეფონის ნომერი და დაბადების თარიღი;
- თუ ანგარიშის მფლობელი რეგისტრირებულია, ხოლო ბარათი, რომელზეც შესრულდა
  საბონუსე ქულის დარიცხვა არ არის რეგისტრირებული, საბონუსე ქულის დარიცხვა ვერ მოხდება;
- თუ მომხმარებელს დაერიცხა საბონუსე ქულა რამოდენიმე განსხვავებულ დღეს, პირობის დაკმაყოფილების შემდეგ გააქტიურდება მიმდინარე მომენტამდე დარიცხული ყველა საბონუსე ქულა;
- თუ მომხმარებელს გააქტიურებული საბონუსე ქულის შემდგომ კვლავ დაერიცხება საბონუსე ქულა, მისი გააქტიურებისათვის საჭიროა ხელახლა პირობის დაკმაყოფილება.